

საერთო ურნალი

ՃՐԱՑՅԱՆ

ମୋହନ୍ତିର ପାଦପତ୍ର

1909 ଫେଲ୍ଲିନ୍ଦାରୀ—14 ଟଙ୍କାଟଙ୍କା—ନଂ 3.

ი. წინამძღვროშვილი	თა არის ცოდნა	3
ე. იოსელიანი	სოფლის ეთიუ-ცხოვრებიდან	4
ვ. რცხილაძე	ცოცხალი და მკვდარი ბუნება.—მცენარები და ცხოველი	7
პ. ავერკინი	კახური კაზი და დვინო ევროპიულ კაზებთან და დვინოულებთან შედარებით	9
ა. როლოვი	ახალი წამალი მიღდეუსა და ნაცრის წინააღმდეგ	11
გ. ნახუცრიშვილი	კაშლი და იმისი მტრები	12
ვ. შ—ელი	ბუნებრივი სასუქები ხეზილებისათვის	14
ა. გულბათიშვილი	„მოსაფლის“ შეთრე ნომერში დაშვებულ შეცდომის გასწორება	15
საყურადღებო ცნობები		16
განცხადებანი		16

ଓଡ଼ିଆ

ପ୍ରକାଶକ-ମହାଦେବ ପିଲ୍. ପ୍ରମାଣି. ପାତା. ୧୯—୨୫.

1909

სამეურნეო ჟურნალი

გოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წელიწადში ჟურნალი ღირს.....	3 გ:ნ.
მდგომარე წლის პირველი იანვრამდე.....	2 გან.
ცალკე ნომერი ხელზე გაისყიდა.....	10 კაპ.

ჟურნალში მოხაწილეობს შიდებენი: — აფერკინი პ., ბერეკაშვილი გ., გევერტიშვილი პ., გოგნიევი ლ., გოგინაშვილი ფ., გულისაშვილი შ., ერანოვი ს., ვაჟა-ფშაველა, იოსელინი ე., გრიშალაშვილი ე., გლონდაძე ნ., ლორთქიფნიძე პ., ლომინიძე ა., მაკარაშვილი ნ., მოსეშვილი ი., მრევლიშვილი გ., მეურნალი ნ., მურვანიშვილი მ., მჭედლიშვილი მაღალაშვილი მ., ნანეიშვილი მ., ნახუცრიშვილი გ., ნასარიძე ს., ქვარანი ს., ენილაშვილი ზ., ღვიარისაგრივი გ., ზაალიშვილი მ., ჭავჭარიძე გ., უავრიშვილი ნ., უფლინი ლ., ჩოლობაშვილი ს., რაზიგაშვილი თ., რცხილაძე ვ., ხუნდაძე ს., ფიმოცევი ს., საკოვი ა., ქარიფაძე მ.

რედაქცია მოედის სხვებიდგანაც თანამშრომლობის სერვისის გამოცხადებას.

თანამშრომელთა საზრალობოდ.

ჟურნალის შემსრულებლიდამ გაისტუმრება საწვდი სტატია და კანცელარიასა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიცვებათ თანამშრომლებს პროცესუალის დათა ნაშრომისა.

დასაბეჭდათ მიღებული წერილები შეიძლება რედაქციაში შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორესპონდენციები, რომელიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქცია იმუფლება ალექსანდროვის ბაზში, კავკასიის სამეცნიერო საზოგადოების დარბაზში.

რედაქტორის ნახევ შეიძლება 2—3 საათამდე, კვირა-უქმე დღეების გარდა.

რედაქციის ადრესი წერილებისათვის და ტელეგრამებისათვის: Тифлисъ „Мосавали“ Барятинская, 5.

რედაქტორი-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე.

რა არის ცოდნა

ვისაც ჩვენი სამშობლო ქვეყნის აღიარდინება და მის მკვიდრთა კეთილდღეობა სურს, მას უნდა სამეურნეო ცოდნა ქონდეს ყველა სამეურნეო დარგიდგან.

„ვისაცა ცოდნა არა აქვს,
გასტანჯავს წუთი სოფელი“.

სოჭვა მგონსანმა დ. გურამიშვილმა. დღეს ამ სიტყვების სიმართლეს ყველა ოჯახი გრძნობს.

უწინ ჩვენ ოთხი კუთხივ მახეში ვიყვაით გაბმულნი. ჩვენი ძალლონე ჩვენი მტრების მოგერებას უნდებოდა. მართალია, გაჭირვებიდან გამოვედით, მაგრამ ჩვენი შვილების სწავლა-განათლება კი შეფერხდა.

ეხლა ყველა მეურნე უნდა ცდილობდეს მისცეს თავის შვილებს სამეურნეო ცოდნაც, რომ შეეძლოთ მათ გააუმჯობესონ ის მამული, რომელიც დღეს ხელთა აქვთ.

სამეურნეო ცოდნას იძლევიან სამეურნეო სკოლები, სამეურნეო უურნალ-გაზეთები, წიგნები, საცალი მინდვრები და სხვა.

მხოლოდ სამეურნეო ცოდნაში გამოცდილ მეურნეს შეუძლიან სამეურნეო საქმის კეთილ ნიადაგზე დაყენება თავისა და საზოგადოების სასარგებლოთ.

ჩვენ დარწმუნებული გართ, რომ ყველა ქართველს უყვარს თავისი სამშობლო ქვეყანა. ამისათვის მეურნეს ყოველთვინ უნდა ჰქონდეს მხედველობაში, რომ მამული ხელიდან იმას არავინ გამოაცალოს, ცარიელზედ არ დარჩეს და მაწანწალა არ გახდეს, თორემ შემდეგში ბევრ ცრემლს დაღვრის გატანჯული ცხოვრებით.

ცოდნა და შრომა კაცს ახალისებს, აპატიონსებს, უნერგავს გულში მაშულის სიყვარულს. როგორც ლამპარი უნათებს გზას, უაღვილებს შრომას და აძლევს კაცს ნაწარმოებიდამ მეტ ლალას, მეტ სარჩო-ქონებას.

ცოდნით მდიდარი ადამიანი არავისი მონა არ არის; თავისი შრომით იჩენს თავს, ინახავს ოჯახს, კეთილსინდისიერათ იხდის ყველა თავის მოვალეობას წინაშე საზოგადოებისა და სახელმწიფოსი. ცოდნით ბრძანსაც-კი ეძლევა საშუალება იცხოვროს თავისი შრომით. კაცს თავისი ცოდნა თან მისდევს საღაც უნდა წავიდეს, ვერც ქურდი მოპარავს, ვერც მცარცველი წარითევს, რამდენიც უნდა გასცეს სხვას, თითონ არაოდენი არ დააკლდება.

რა შეუძლიან სამეურნეო ცოდნასა და გარჯას მ. მამულაშვილის წერილი-დამაც კარგა სჩანს, რომელიც ამ ურნალის პირველ ნომერში იყო დაბეჭდილი და საიდამაც მკითხველი ტყობულობს, რომ 300 კვ. საჟ. მიწას მცხეთაში კარგად შემუშავებულსა და მოვლილს მთელი სამი ოჯახის შენახვა შესძლებია.

დროა გამოვთხიზლდეთ და გავიგოთ, რომ მეურნეობა უმთავრესი ძარღვია ჩვენი ცხოვრებისა. რომ ხალხის წარმატებისათვის საჭიროა სამეურნეო ცოდნის, სამეურნეო იარაღების და მანქანების გავრცელება ხალხში.

მეურნეობა მარტო მიწის აქა-იქ ჩი-ჩქვნა-კი არა მთელი მეცნიერული სწავლაა, რომლის შეტანას ჩვენი ხალხის ცხოვრებაში უნდა ემსახურებოდეს ურნალი „მოსავალი“.

ამიტომ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველა მეურნე განურჩევლად წოდებისა დიდის სიამოვნებით მიეგებება ამ ურნალს და გამეტებით გაიღებს ამისთვის სამს მანეთს წელიწადში.

ურნალი „მოსავალი“ რომ ხალხმა შეიყვაროს რედაციის და თანამშრომლებმა უნდა მთელი თავისი ცოდნა, გამჭრიახობა და გულმოდგინეობა გა-

მოიჩინონ რომ ქართულ უურნალში მკითხველისათვის გაუგებარი ენა არ იხმარონ, ვინაიდგან ქართული ენა, როგორც ამ უურნალიდგანვე სხანს, საკმარისად მდიდარია, რომ ქართველმა მწერალმა შესძლოს ყოველი თავისი აზრი და სურვილი ქართულად გადასცეს თავის მკითხველებს.

ილია წინამძღვრიშვილი

სოფლის უოფა-ცხოვრებიდან

ჩვენი სოფლის მდგომარეობა საცინელ-სატირელია.. გარეგანი შეხედულობით სოფელი თავის ბედის კმაყოფილი უნდა იყოს: სოფელს თავის საკიროებისათვის გარდა თავისი ამორჩეული პირებისა მამასახლისისა და სულიებისა ყავს: მასწავლებელი, ექიმი, ბეითალი, მეველე, აგრონომი, მორჩიებელი-მოსამართლე, მსაჯული, მებაჟე, გამომძიებელი, პრისტავი, ფელ-შარი, ინსტრუქტორი და სხვანი. ყველა ეს მოხელები კანონით მოვალენი არიან დაიცვან სოფლის მშვიდობიანობა, ააცილონ საქონელსა და ხალხს სენის გილადება გააცნონ ნაყოფიერი მუშაობა, დაიცვან სიმართლე და კანონი ხალხში. მოკლედ რომ ვსთქვათ ყველა სოფლის ვარამს და სენს შესაფერი წიმალი აქვს მიცემული, ხოლო სოფელმაც პატარი მხერება და ფხა უნდა გამოიჩინოს სიღარიბისა და ყველა სხვა ნაკლის თავიდან ასაცილებლად. ნამდვილად კი არსებითი ცხოვრება სოფლისა სულ სხვანარიათ ტრიალებს. სოფლის წესრიგი მწარე ღიმილს მოგვრის ადამიანს. მუშაობა ცოდნით შეიარაღებული მეურნესიც კი, რომელიც დაიმედებული უნდა იყოს თავის შრომის ნაყო-

ფზე, ალალბედობაზეა დამყარებული. რა არის ამის მიზეზი, რამ მისცა ხელში შემთხვევას ჩვენი მეურნე? რამა და სოფლის მოუწყობლობამ. ეს მოუწყობლობა ურევს ყველას გზას, ბადავს სოფელში ულონობას, უიმედობას. ამიტომ ვისაც კი შეუძლიან, გაურბის სოფელს.

განა რა უშლით ზემოთ ჩამოთვლილ მოხელეებს შეუწყონ ხელი სოფელს? მცირედი რამ: მათ უნდა შეცვალონ თავიანთი შეხედულება: ეხლა სოფელი მათ ემსახურება სოფლის წესრიგის ჩამოვდებაში და საჭირო კია რომ იგინი სოფელს ემსახურებოდნენ მათდამი კანონით დავალებულ საქმის განხორციელებაში. ამ მოხელეების ტვირთად გადაქცევა სოფლისთვის შეიქმნა მიზეზი სოფლის უნუგეშო მდგომარეობისა. აი მაგალითი: ეს მეორე წელიწადია, რაც ღენერალმა ლევიცკიმ გამოაქვეყნა თავისი ცდა პურის მოყვანის შესახებ. ბ. ლევიცკი ამტკიცებს რომ საკმარისია შეიცვალოს მიღებული ხვნა-თესვის წესი რომ მოსავალი გაათასდეს. მისი სიტყვით ახალი, მისგან ნაჩვენები, წესით ნახევარ დღიურზე შეიძლება იმოდენა მოსავალი მოვიყვანოთ, რომ ოჯახს საკვე-

ბავათაც ეყოს მთელი წვლიწადი და გასაყიდათაც ბევრი დარჩეს. სოფელში უძრი მოკრა ბ. ლევიცკის ახალი წესით პურის მოყვანას, მაგრამ სამწუხაროდ ვერა გაიგო რა. ორი წლის განმავლობაში სოფელს არ გამოუჩნდა არც ერთი მცოდნე, გულ-შემატკივარი ადამიანი, რომელსაც აეხსნა, ზღაპარია თუ სიმართლე, რაც გაისმოდა აქა-იქა ამის შესახებ. აქმდე ყველა ჩვენმა მეურნემ თავისი გამოცდილებით იცოდა, რომ რიგიანი მოსავლისათვის საჭიროა ლონიერი კარგად შემუშავებული მიწა, კარგი თესლი და ხელის შემწყობი ამინდი, რომ ამ სამში თესლს პირველი ალაგი უჭირავს და მიწა და ამინდი მხოლოდ აღვიძებენ და კვებავენ თესლში მყოფ ბუნებას მომვალი მოსავლისათვის, რომ როცა ნიადაგი გამოფიტულია და მცენარე საქმარის საკვებავს ველარ პოულობს, კაი მოსავლის იმედი ტყუილია, ანდა თუ თესლი უვარებისია, მიწა და ამინდი მოსავალს ბევრს ვერას უშველიან; ვინც გინდა იყოს და რარიგათაც უნდა შეუდგეს ხენა-თესვას, თესლს, ნიადაგს და ამინდს ვერსად წაუვა. თუ ერთი მათგანი ხელს არ შეუწყობს მოსავალს, მოსავალი დაზარალდება. ეს ყველა იცოდა და იყოს ჩვენმა მეურნემ.

აბა ახლა დაუგდოთ ყური ბ. ლევიცკის. თუ გინდათ, რომ აუარებელი მოსავალი მოგდიოდეთო, ამბობს ბ. ლევიცკი, თავი დაანებეთ მიღებულ წესით ხენა-თესვასათ, გათხარეთ ძაბრის მზგავი ორმოები სიღრმით რეა გოჯამდე, სიგანით-თექვსმეტ გოჯამდე და ყოველს ორმოში ჩარგეთ თითო მარცვალი პურისა. ამგვარად პური უნდა იყოს დათესილი ავგვისტოში. ერთი

კვირის ან ათი დღის შემდეგ, როცა მარცვალი გაიღვიძებს და ლეროს ამოიხეთქამს, მაშინვე ზედ მიწა უნდა წაეყროს ნახევარ გოჯზე. ოცდა ერთი ღდის შემდეგ მცინარე იბრარტებს, ხელმეორეთ ამოიტანს სამ ლეროს, რომლებსაც ხელახლად წააყრიან მიწას ნახევარ გოჯზე. ოცდა ერთი ღდის განმავლობაში თითო ლეროს კიდევ ამოაქვს სამი ლერო. ამ სახით მარცვალი ყოველ ოცდა ერთ ღლეზე ბლარტობს სანამ ლეროები გაემზადებიან თავთავის ამოსატანათაო. ბ. ლევიცკის სიტყვით თითოეულ მარცვალს ამოაქვს სათავთავეთ ასი ათასზე მეტი ლერო და იძლევა ორ ფუთამდინ ხორბალს. ლევიცკის ანგარიშით ერთ ღლიურზე 3000 ფუთამდე ხორბალი შეიძლება ავილოთ, რაც ეხლანდელ ასოცი ღლის მოსავალს უდრის. ვინც თითონ ხნამს და სთესავს და გამოცდილია, ის, რასაკვირელია, ამას არც დაიჯერებს. ჩვენ ვნახეთ ტფილისის საბალონო სკოლის ბაღში. ბ. ლევიცკის წესით დათესილი პური. ერთ მარცვალსა პეტონდა ოთხმოცუზე მეტი თავთავი. ასეთივე შედეგი მიუღია ი. ს. ჯაბადარის საგარეჯოში. თუმცა თითო მარცვალზე ოთხმოცი თავთავი კაი მოსავალია მაგრამ ამ თავთავებს ნახევარ გირვანება ხორბალზე მეტი მაინც არ გამოვა. ბ. ლევიცკი კი ერთი მარცვლიდან ორ ფუთამდინ ხორბალს გვპირდება. ასეთი შედეგი ზღაპრულია, და აი რა მიზეზით: ჩვენში და იქ, საცა ეგრეთვე ცხელა, ავგვისტოში პურის დათესა ჯერ ერთი რომ შეუძლებელია. წლის მოსავალი ავგვისტოში ჯერ კიდევ დაბინავებული არ არის ხოლმე. ზოგან ჯერ ისევ კალრუბიათ. მეორე: ავგვისტოში ცხელა,



მიწა მშრალია, იდვილად შესაძლოა თაგვის და ფრინვლის გაჩენა და ნათესის განაღვეურება. ურწყავში ხომ სულ შეუძლებელია ავგვისტოში დათესა. ჩვენი ხალხი პურს ენკენისთვის ბოლო რიცხვებში სთესავს. ეს უვიცობით კი არ მოსდის მას, არამედ ხანგრძლივი გამოცდილობით. ახალი თესლი ჰო, რაც ადრედაითესება გაზაფხულზე, კარგია, რომ ნათესმა ისარგებლოს თოვლით გაედენთილ მიწით, სანამ სიცხეებს დაიჭირს. შემოდგომის ნათესი იწყობა იმ დროიდამ, როცა ნახნავს დღის სიცხე დილის ნამს ვეღარ წართმევს მთლად. ავგვისტოში კი ამოსულ ჯეჯილს შეიძლება ისეთი ცხელი დღეები დაუდგეს, რომ სულ მთლად მოტრუსოს ნორჩი ყანა. საცა თოვლი ოქტომბრის მეორე ნახევარში იცის, რასაკვირველია, ავგვისტოშივეუნდა დაითესოს პური. სეკტემბერში დათესილი იბღარტებს ნოებრის მეორე ნახევარიდე მერმე მარტის ნახევრამდე იზამთრებს და მხოლოდ შემდეგ გაიღვიძებს; ასე რომ ბლარტობისათვის ნათესს სულ ოთხი თვე ეძლევა. მაისის დამ-

ლევიდან ჯეჯილი იწყობს სათავთავე მხადებას. ამ ოთხ თვეში რაც უნდა იბარტყოს მარცვალმა ასზე ზევით თავთავის მაინც ვერ ამოიტანს, მაში დათესილი მარტო ხუთჯერ მოასწრობს ბარტყობას. ბ. ლევიცკის კი მიღებული აქვს თერთმეტჯერ ბარტყობა, ანუ ათასზე მეტი ღერო თავთავზე, ანუ ორ ფუთზე მეტი ხორბალი ერთი მარცვლიდან. ეს გამოკვლევა ბ. ლივიცკისა ძალიან შორს არის სინამდვილესთან: სად ასი ათასი თავთავი და სად ოთხმცი, სად არი ფუთი მარცვალი და სად ნახევარი გირვანქა. ან როგორ უნდა იბარტყოს თერთმეტჯერ, როცა დათესიდან შემოსვლამდინ საჭიროა პურისათვის ორთვე ნახევარიდამ ითხ თვემდე. ამასთან ზოგი ხორბალი ან სულ არ ბარტყობს და ან ბარტყობს ძალიან მცირეთ. ბ. ლევიცკის ქადაგება ამიტომ ზღაპარს მიაგავს, რომლის გამრთლება სიზმარში თუ, თორემ ცხადლივ შეუძლებელია.

ე. იოსელიანი

ცოცხალი და მკვდარი გუნება.—მცენარენი და ცხოველი

ცოცხალი არსებაზი

მთელი ბუნება ყველა სხეულებით, რომელნიც ამ ბუნებაში იმყოფებიან, ორ დიდ ნაწილად იყოფა: ცოცხალი ბუნება ანუ ორგანიული ბუნება, რომელსაც შეადგენენ ყველა ცოცხალი არსებანი, ორგანიზმონი და მკვდარი ბუნება, რომელიც უსულო სხეულებისაგან, მინერალებისაგან შესდგება.

როგორადაც ცოცხალი, აგრედვე მკვდარი ბუნების ყველა შემაღენელი სხეულები ერთი და იგივე მარტივი სხეულებიდგან წარმოსდგებიან, ერთ

და იმავე ფიზიკურს და ქიმიურს კანონებს ემორჩილებიან. მიუხედავად ამისა ეს ორივე გეარი სხეულები: ორგანიზმონი და მინერალები თავიანთი შედგენილობით და არსებობით ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

განსხვავადა ცოცხალ არსებათა, ორგანიზმოთა და მკვდარ სხეულებთა, მინერალებთა შორის.

მეცნიერებას ჯერაც ვერ განუსაზღვრავს სწორედ, რას ვეტყვით „ცოცხალი ასება,“ რადგან თვით შინაა-

ცოცხალი და შეგდანი ბუნება.—შცენაოენი და ცხოველი

რა სიცოცხლისა ჯერ ისევ გაუგება-
რი რჩება.

ამიტომ ცოცხალ არსებათა შედარე-
ბა მინერალებთან, მათ შორის გან-
სხვაების გამოკვლევა უნდა დაიწყოს
და გათავდეს იმ ზოგადი თვისებების
გამოკვლევითა და შესწავლით, რო-
მელნიც ორგანიზმოებს აქვთ და მინე-
რალებს არა.

ეს თვისებები ეკუთვნიან ოთხ მხა-
რეს განვითარებისას: 1) ორგანიზმთა
ქიმიურ შედგენილობას, 2) მათ აგე-
ბულობას, 3) სიცოცხლით მოქმედე-
ბას და 4) დაბადებას. ორგანიზმონი თა-
ვიანთი **ქიმიურ შედგენილობით** ძლიერ
რთულ ნახშირბადიან შეერთებებს წარ-
მოადგენენ: ან **უაზოტოს**—როდესაც
მარტო ნახშირბადი, წყალბადი და მუავ-
ბადია, ან და **აზოტიანს**—როდესაც
ამ სამ ელემენტის გარდა აზოტიც შე-
დის, როგორც შემადგენელი ნივთი-
რება.

მეტად ნიშნეულ თვისებას ორგანი-
ზმოებისას წარმოადგენენ ეგრედწო-
დებული **ცილანი** - მეტად რთული ქი-
მიური შეერთებანი, რომელნიც შეი-
ცავენ ნახშირბადს, წყალბადს, მუავ-
ბადს და აზოტს და ზოგჯერ ფოსფო-
რისაც, გოგირდსაც და რკინასაც.

ამ ცილათაგან შესდგება **პროტოპ-**
ლაზმოც და მის **გუნდიც**, ე. ი. ორივე
უმთავრესი ნაწილი **უჯრედისა**, რო-
მელნიც არის ცოცხალი არსების დასა-
წყისი და შეადგენს მთელს სხეულს ამ
არსებისას.

ორგანიზმონი თავიანთი **აგებულობით**
დიდად განსხვავდებიან უსულო სხეუ-
ლებისაგან, მინერალებისაგან. არა მარტო
სიცოცხლეში, არამედ სიკვდილის
შემდეგაც, როცა თვით ხდებიან უსუ-

ლონი. თუმცა მათი აგებულობა მე-
ტად სხვადასხვა ნაირია, მაგრამ ზოგიე-
რთი ნიშნები ამ აგებულობისა ყველა
ორგანიზმოებს მაინცა და მაინც ერთ-
ნაირი აქვთ.

როგორიც გინდა იყოს ორგანიზმის
სხეული—თუნდ ძლიერ რთული, თუნ-
და მარტივი, იგი მაინც ყოველ შემ-
თხვევაში ცალკე **ორგანოებისაგან** არის
შემდგარი (ამიტომ უწოდებენ ამ სხეუ-
ლებს „ორგანიზმს“).

ყველა ცოცხალი არსებანი შემდ-
გარნი არიან ეგრედ წოდებულ **უჯრე-
დებისაგან** (cellula), იმ ცოცხალიერ-
თეულებისაგან, რომელთაც ყველა ის
თვისებები აქვთ, რაც ცოცხალ არსე-
ბებს. უჯრედების შედგენილობა ერთი
და იგივეა. ყოველი უჯრედი ძლიერ
რთულს ცილათა შეერთებას წარმოა-
დგენს და შესდგება **პროტოპლაზმის-
გან** ანუ **სარკოლისაგან** და **გუნდისა-
გან**, რომელიც იგივე ნივთიერებას წარ-
მოადგენს, რაც **პროტოპლაზმა**, ხო-
ლო ეს გუნდის შემაგენელი ნივთიე-
რება განსხვაებულ მდგომარეობაში იმ-
ყოფება: ცოტა უფრო შესქელებულ-
შემაგრებულია.

რიცხვი უჯრედებისა, რომელნიც
ორგანიზმს შეადგენენ, სხვადასხვა ორ-
განიზმოებში სხვადასხვა ნაირია. არიან
ორგანიზმონი მარტო ერთი უჯრედი-
დებან შემდგარნი და ისეთი ორგანიზ-
მონიც, რომელნიც მრავალჯერ მრა-
ვალი მიღიონი უჯრედებისაგან შე-
დგებიან.

სიცოცხლით მოქმედება ორგანიზ-
მოებისა გამოიხატება შემდეგში: 1) ორ-
განიზმონი სიცოცხლეში საზრდოო-
ბენ, 2) გრძნობიერობენ, 3) მოძრაო-
ბენ და 4) მრავლდებიან. საზრდოო-

გრძნობიერობაში ორგანიზმნი განიცდიან გარემოცულ ბუნების მოვლენათა ზედმოქმედებას.

მოძრაობით ორგანიზმონი იქმაყოფილებენ სხვადასხვა გვარ მოთხოვნილებებს. თუმცა ზოგნი მათგანი თითონ მთელი თავიათო სიცოცხლე უძრავად არიან, მაგრამ მათ სხეულის უჯრედებში პროტოპლაზმი მოძრაობს.

ორგანიზმოთა გამრავლების შესახებ
მეცნიერებას დღეს ასეთი შექედულე-
ბა ა.ქველაძემ კიბრებული: ორგანიზმონი
ბუნებაში წარმოსდგებიან, იბადებიან
მხოლოდ თავიანთივე მზგავი ორგა-
ნიზმებისაგან, ვითა მშობლებისაგან,
და შემდეგ, როცა გაიზრდებიან, შო-
ბივრობენ. უძეობა შემთხვევითი მოვ-
ლენაა ბუნებაში.

შობიერობა ყოველ შემთხვევაში ასე
ხდება: მშობელ ორგანიზმოს შორდე-
ბა რაოდენიმე ნაწილი მისი სხეული-
სა და ეს გამოცალკევებული ასო იკვე-
ბება, იზრდება ცალკე და ბოლოს თი-
თონაც ასევე შობივრობს. ახლად და-
ბადებულის ზრდა და განვითარება აიხ-
სნება იმით, რომ პატარა არსებას პირ-
ველ ხანებში უფრო მეტი ნივთიერე-
ბები ეთვისება გარეშე ბუნებიდან, ვი-
ღრე აკლდება. ხოლო ზრდა სხეული-
სა განუსაზღვრელად არა ხდება: შემ-
დეგ რაოდენიმე ხანისა იგი ჩერდება.
ზოგიერთ ორგანიზმოების გამრავლება
და კანების მიზნებულია მათი სხეულის გაზრ-

დასთან. ერთ უჯრედიანი ორგანიზ-
მონი, მაგალითად, მომეტებულ შემთ-
ხვევაში იზრდებიან ერთ გარდაწყვე-
ტილ ზომამდე და მერქ მთელი მათი
სხეული ორ ნახევრად იყოფა. გათავთა-
ვადებული ნახევრები გაიზრდებიან იმავე
ზომამდე და ისევ ორად იყოფიან და
ასე მრავლდებიან.

როდესაც ორგანიზმი თავის გამრავ-
ლებისათვის დიდალ ნივთიერებას ხარ-
ჯავს, მაშინ მისი გამრავლებაც დიდი
ზომითა ხდება. დედა ფუტკარი, მაგა-
ლითად, სდებს წელიწადში 100,000-
მდე კვერცხს, ხუთი წლის განმავლო-
ბაში დასდებს ნახევარ მილიონამდე.
ყველა ეს კვერცხები, სულ რა ნაკლებ,
200-ჯერ ჟეტი მაინც იქნებიან წონით
თვით ფუტკარზე.

ახალი ორგანიზმი იბადება ან ერთი ორგანიზმოლგან — მაშინ შთამომავლობას გარდაეცემა თვისებები ამ ერთი მშობელი ორგანიზმისა, ან ღა ჩამომავლობს ორი ორგანიზმიდან.

ამ მეორე შემთხვევაში ჩამომავლობას გარდაეცემიან თვისებები ორივე მუზიკობლებისა.

რაც შექება უწინდელ წარმოდგენას, როდესაც ეკონათ რომ ზოგიერთი ცოცხალი არსებანი იძალებიან ბუნებაში თვისთვად, უმშობელოთ, რომ ვითომ მაგალითად ზოგი მწერი ჭუკვისა და სიღამპლეში შეიძლება დაიბადოს უკვერცხოდ, რომ სხვადასხვა მარტივი იგბულობის ცხოველნი და მცენარენი (ზაკტერიები, ინფუზორები) თავისთვად, უწინაპრებოთ წარმოსდგებიან, ესეთი შეხედულება სრულიად ორყოფილია დოს მეცნიერებისაგან.

ნაცადია და დამტკიცებული, რომ
თუ რომელსამე ღრგვანიულ ნივთიერებ-

ქახური ვაზი და ღვინო ეკონომიკულ ვაზებთან და ღვინოებთან შედერებული სტუდენტები

ბაში ყოველი მატლი, კვერცხი, თესლი, რომლებიც ამ ნივთიერებაში იყვნენ და რომლებიდგანაც შეიძლება სხვადა სხვა ცოცხალი არსებანი წარმომდგარისავნენ, ამოვხოცეთ და აღარც სხვა ახალი, ცოცხალი არსების დამბადებელი კვერცხი, თესლი და სხვა მივაკარეთ, ჩვეულებრივი მოვლენანი: დაპატიჟა, დამძარება, დამუავება და ყოველი სხვა შედეგი აღულებისა აღარ მოხდებიან ამ ორგანიულ ნივთიერებაში.

არა გვაქვს საზოგადოდ არავითარი საბუთი ვიფიქროთ დღეს, რომ სადმე ქვეყნიერობაზე უშმობელოთ წარმოსდგებოდნენ, იშობებოდნენ რომელიმე ცოცხალი არსებანი.

ამ მხრივ მეცნიერებამ თავისი სწორი

და უტყუარი შეხედულობა შეაღვინა გამოჩენილი პასტერის გამოკვლევების შემწეობით.

ხოლო ესეთი რწმენა, რომ თუ არ ორგანიზმოებიდგანვე არა რამე ორგანიზმი არ შეიძლება დაიბადოს სხვა გზით ბუნებაში, იძულებულ გვხდის ვიკითხოთ: ე ხო აშკარაა, რომ ისეთი უნდა ყოფილოყოს დრო, როცა დედამიწაზედ არავითარი სიცოცხლე არ იყო და, მაშასადამე, სიცოცხლე იგი წარმოსდგა შემდეგ. მაშ საიდგან, როგორ? ეს კითხვა კითხვათ აჩება. მეცნიერებამ დღეს არ იცის რა პასუხი გასცეს ამ კითხვას. არც ის იცის, შეძლებს თუ ვერ შესძლებს ოდესმე მაინც სწორე პასუხის მიცემას.

3. რცხილაძე

პახური ვაზი და ღვინო ეკონომიკულ ვაზებთან და ღვინოებთან შედარებით

მე მაქვს გაშენებული ორი ჯიში ეკონომიული ვაზისა — **კაბერნე და რისლინგი.**

რამდენიმე წლის დაკვირვებამ მაჩვენა, რომ აქაურ ნიადაგებისათვის კაბერნე არ ვარგა: გამოსავალიც ცოტა აქვს და არც კარგი ლირსების ღვინოს იძლევა.

რისლინგს საზოგადოდ ცოტა გამოსავალი აქვს, მაგრამ, თუ წელიწადი შესაფერი დაუდგა, ღვინო მშენიერი გამოდის.

რისლინგის გაშენება შეძლებულ მევნახესათვის არის ხელსაყრელი, ხოლო გლეხობისათვის-კი არა.

არა მეონია რომ აქაური საფერავი, რქაწითელი და მწვანე როდისმე განდევნილ იქმნენ ეკონომიული ჯიშის ვაზებით.

საფერავი პირადად მე საუკეთესო ჯიშად მიმაჩინია. საფერავის ღვინო, თუ კარგად იქნება მოვლილი, არც ერთ ბურგუნდის მაღალი ღირსების ღვინოს არ ჩამოუვარდება. ხელთა მაქვს ისეთი ღიკუმენტები, რომლებიდგანაც სჩანს, რომ ამნაირადვე უყურებენ კახურ წითელ ღვინოს არა მარტო რუსეთის სპეციალისტები (მცოდნეპირები), არამედ დიდი მცოდნე ეკონომიკულებიც.

არც შეეხება ღვინის დაყენებას, ღვინის რაიონული ტიპების შექმნას, ამ მხრივ კახური ღვინო უკვე გამორკვეულ, დამდგარ ტიპს წარმოადგენს და ოღონდ-კი სიმწკლარტე ნუ ექნება და სხვა არაფერ ცვლილებას არ საჭიროებს.

უნდა ვაღვიარო, რომ მრავალ პირებთანა მაქვს რუსეთში საჭე და ვიცი;

რომ ძველი კახური ლვინო, თუ მწელა-
რტე არ არის, საზოგადოდ ყველგან
მოსწონთ. წათელი ლვინის შესახებ
კიდე ყველასაგან აღტაცებული ქება-
ლიდება მომდის.

ამის გარდა ხესიათი (ტიპი) კახური
ლვინისა არ შეიძლება შეიცვალოს იმი-
უმ, რომ მაშინ ლვინის დაცენებაც
და მოვლაც ძირეულად შეცვლილი
უნდა იქმნეს, ლვინო უნდა ქვევრები-
დამ ბოჩკებში ამოვიდეს და სარდაფე-
ბში ინახებოდეს, რაც ყოვლად შეუძ-
ლებელია ადგილობრივ მცხოვრებელ-
თათვის და არც მაგდენ რასმეს უშვე-
ლის ლვინის გასაღებას კახეთის ახლა-
ნდელ გაჭირებულ მდგომარეობაში.
მიზეზი აშისი ბევრია. მოვიყვან მხო-
ლოდ ზოგიერთს.

საქმე იმაშია რომ ამ ბოლო წლებ-
ში ვაზის გაშენებას მისდევენ ბევრ
ისეთ ადგილებშიაც, სადაც წინათ არც
ერთი ვაზი არა მდგარა.

წარმოსდგნენ ახალი რაიონები შავი
ზღვის პირისა, ხერსონის გუბერნია და
სხვა, რომელთაც დიდალი ლვინო მო-
ჰყავთ, ხელში უჭირავთ ადგილობრივი
ბაზარი და ძველ რაიონებს ეჯიბრე-
ბიან დიდი ბაზრების, როგორიც არის
მოსკოვი, პეტერბურგი და სხვა, მოთ-
ხოვნილებს დაქმაყოფილებაში. რა-
საკვირველია, ამ გაჯიბრებაში (კონ-
კურენციაში) სჯობნის ის, ვისიც ლვი-
ნო იაფა და კარგი ლირსებისა არის.
ლირსება ლვინისა დამოკიდებულია სხვა-
თა შორის მის დაყანება-მოვლა-შენა-
ხვაზე და ფასი კი არა მარტო მო-
სავლის რაოდენობაზე, არამედ იმაზე-
დაც სად როგორი შარა გზები და რკინი
გზებია, სად რამდენად დაშორებულია
ლვინო დიდი ბაზრებიდან და რამდენი

ჯდება საზოგადოდ მის აქეთ-იქით გაგ-
ზავნ-გამოგზავნა.

ამ მხრივ კახური ლვინო, დაშორე-
ბული რკინი გზიდამ, ვერც შარა გზე-
ბით დაიკვეხებს, რადგან კახეთში ხში-
რად გზასა და საფლობს კაცი ვერ გაარ-
ჩევს.

კახეთის გზებზე გადაბრუნებულ ურ-
მებს, ფურგუნებს, დამტვრეულ ბოჩკე-
ბს, დალვრილ ლვინოს, რასაც ყოველი
ჩვენთაგანი ხედავს, სათვალავი არა
აქვს.

თითო ვედრა ლვინის ჩამოტანა ტფი-
ლისში ჯდება არა ნაკლებ 30 კაზ.,
როდესაც უფრო შორს მყოფ რაიო-
ნებიდგან — ერევნიდამ და განჯიდამ —
გაცილებით იაფია.

სიძირე ჭურჭლისა (ბოჩკებისა), გზი-
სა, კახეთში მოსულ უცხო პირისათვის
მოუწყობელი ცხოვრებით გამოწვეული
სიძირე და ყველა სხვა ლვინის მყი-
დველს ლვინოზე გადააქვს, რის გა-
მოც ხშირად ლვინის პატრონი ჰყიდის
თავის ლვინოს იმაზე ნაკლებ ფასში,
რაც თითონ უზის.

ვიდრე კახეთის რკინის გზა არ გა-
კეთდება, ძნელი მოსალოდნელია, რომ
ლვინის გასყიდვის პირობები კახეთში
გამოკეთდეს.

ვერ უშველის ამ საქმეს ამხანაგო-
ბების დაარსებაც. ამ გვარ ამხანაგო-
ბათ მნიშვნელობა მაშინ აქვთ, როცა
ცოტანი არიან, როცა დიდი ბაზრე-
ბის კურადღებას მიიქცევენ. მაშინ
კი, როცა ესეთი ამხანაგობანი გამ-
რავლდებიან როგორც ტყეში სო-
კო და დაიწყება ერთიერთმანეთის წი-
ნააღმდეგ გაჯიბრება, აჯობებს ისევ ის,
ვინც უფრო იაფათ და კარგი ხარის-
ხის ლვინოს მისცემს მყიდველს. ამ

გვარად ვაჭრობის მდგომარეობა ისევ სათავესაკენ დაბრუნდება.

სამეცნიერო კრედიტი კიდევ პო, ცოტა შაღავათს მისცემდა კახეთს, რომ საღმე იყოს. ხოლო ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ კრედიტი თრიპირი მახვილია, დიდ სიფრთხილესა და მოფიქრების თხოულობს საკეთოლოდ გამოყენებისათვის. წესი ღვინის დაყენებისა და შენახვისა დღეს კახეთში იმნაირია, რომ თუნდაც რომ ყველას,

ვისაც კი უჭირს, მიეცეს კრედიტი, მაშინაც ყველა უნდა ცდილობდეს ზაფხულამდე გაყიდოს თავისი ღვინო, რადგან ღვინო ქვევრებში უდგათ და ზაფხულში ადვილად უძმარდებათ. საამხანაგო სარდაფების გაკეთებას კიდელიდალი თანხა და ბევრი სწავლა დამთავრებული სპეციალისტები უნდა, რაიც დღეს დღეობით ადვილი საშოგარი არ არის.

3. ავერცინი

კალი წაგალი მიღდიუსა და ნაცრის წინააღმდეგ

ამ ბოლო დროს შაბიამანისა და გოგირდის მაგივრად მიღდიუსა და ნაცრის წინააღმდეგ ეგრედწოდებულ პოლისულფიტებს ხმარობენ შაბიამანთან არეულს. პოლისულფიტში არის გოგირდი ბლობად ($35-40\%$).

ვაზის შესასხურებლად წამალი ასე მჩაღდება:

პოლისულფიტი	$1\frac{1}{2}$ გრ.
შაბიამანი	$1\frac{1}{2}$ გრ.
წესი	10 ვედრა

ეს წამალი იმითი არის კარგი, რომ გოგირდიც და შაბიამანიც ერთად არიან შეზავებულნი და ნაცარსაც და მიღდიუსაც ერთბაშად შეგვიძლიან ვუწამლოთ. მეორე უპირატესობა ამისი ისაა, რომ წამალი ლორწოიანია და წებოსავით ეკვრის ფოთოლს, გოგირდი უფრო ბლობად რჩება ფოთოლზე, და როგორადაც ახლად განთავისუფლებული ქიმიური რეაქციით, უფრო მეტი ზედმოქმედებას იჩენს ნაცარზე. მიღდიუს წინააღმდეგაც აგრეთვე. შაბიამანის ზედმოქმედება მიღდიუზე, წამალში კირის მაგივრად ნატრიის ჩაყენებით, უფრო ძლიერი გამოდის.

წამლობა 5—6 ჯერ იაფი ჯდება, რადგან შაბიამანი გაცილებით ცოტა უნდება, გოგირდის შეყრა ცალკე სრულიად საჭირო აღარ არის, მუშა ნაკლები მიღის და წამალი უფრო ადვილი მოსამზადებელია.

მომზადება წამალს ასე უნდა:

პოლისულფიტს გახსნიან ხის ან თიხის ჭურჭელში წყალში, შაბიამანს—მეორე ჭურჭელში. შემდეგ ერთიერთმანეთში ჩასამენ. მიღება მუქი წაბლის ფერი წამალი, რომელსაც ჯერ კარგად დაურევენ ჭურჭელში და შერე შესასხურებენ იგივე ვერმორელის სასხურებლით. ამ წამალს ხმარობენ, როცა ვენახს ნაცარი აქვს მარტო, ან როცა მარტო მიღდიუ და მაშინაც როცა ერთიც არის და მეორეც. პოლისულფიტი შეიძლება გამოიწეროს კავკასიის სამეცნიერო საზოგადოების დახმარებით.

პოლისულფიტი ხმარებამდე უნდა გშრალ ადგილს ინახებოდეს, თორემთავისთავათ დაითხვნება და წამლად აღარ ივარებეს.

იგივე წამალი შეიძლება ვახმაროთ ხეხილებსაც, როდესაც სხვადასხვა სოკოსატკუვრები გაუჩნდებათ ხოლმე.

ა. როლოვი

ვაშლი და მისი მტრები

ნაყოფის მჭამელა (პლიუტონიკა).

ვაშლის ნაყოფი, გაიზრდება თუ არა თხილის ოდენა, მაშინათვე პატარა ნაცრის ფერი დედალი პეპელა, რომელსაც მხოლოდ ბინდისას უყვარს ფრენა, ნორჩ ნაყოფის ყუნწევდ ან კიდევ ფოთოლზედ სდებს თითო მოწითალო ფერის კვერცხს. 7—10 დღის შემდეგ, ამ კვერცხებიდან გამოდიან პაწაწინა მატლები, რომლებიც ჩვეულებისამებრ ნორჩ ხის ნაყოფს ესტუმრებიან ხოლმე. რადგანაც ამ მატლებს ნაყოფის შემოუსვლელი თესლი უფრო უყვართ, ამისთვის იკეთებენ ნაყოფში პატარა ხვრელს და ჰერამენ ნაყოფის შუა გულს, ვიდრე თესლს მიატანენ. ამ უკანასკნელსაც რომ შეშკამენ, შემდეგ გადადიან სხვა საღ ნაყოფებზედ და ამ გვარათ დაზიანებული ნორჩი ნაყოფი ყვითლდება და უნწინად სცვივა ხეს. ნაყოფის მჭამელა ჭია ტკბილ ნაყოფიან ხეს უფრო ეტანება, თუმცა არც მომეაო ვაშლსა სწუნობს; თუ გაზაფხული მშრალი შეესწრო ვაშლსაც გემრიელათ შეექცევა ხოლმე. მოზრდილი მატლი 1/2 ვერ-შოკამდის იზრდება; ფერით მოწითალოა. ეს მატლები ერთი ხანობა თავს ანგებენ ხეს, გადადიან ხის ქერქის ქვეშ და აქ ეხვევიან პარკებში. საუბედუროთ ეს თავის დანებება ხანგრძლივი არ არის. ასე 10 დღის შემდეგ ამ პარკებიდან გამოდის მეორე თაობა კვერცხი მდებელი პეპელებისა, რომელნიც კვლავ განაგრძობენ კვერცხების დებას. ერთი კვირის შემდეგ იჩეკებიან ახალი თაობა ნაყოფის მჭამელა მატლებისა, რომლებიც გადარჩე-

ნილ საღ ნაყოფს უწყებენ ჭამას, და ამნაირად ზარალი ერთი ორათ მატულობს. დაახლოებით მარიამბის-თვის გასულს, მატლები საბოლოოთ ანგებენ ჭამას თავს, გადაღიან ხის ქერქის ქვეშ და აქ ეხვევიან პარკებში.

ამ მატლების წინააღმდეგ იხმარება შვეიცავურტის საწამლავი. ნამდვილი დრო წამლობისა არის, როდესაც ხეები დიოივავილებენ ან, სულ უგვიანესი, როდესაც ნაყოფი ილუბლის ოდენა შეიქმნება. აუცილებელია მეორე წამლობაც ასე 10 დღის შემდეგ. თუ მეორე წამლობის დროს წვიმიანი დღეები დადგა, მაშინ სჯობს მოიცავოთ. უკეთუ ორივე წამლობა დროზედ მოახერხეთ, მაშინ მეორეთ გამოსული მატლები იმდენათ ვეღარას ავნებენ ნაყოფს. უკეთესი იქმნება, რომ შვეიცავურტის საწამლავი შაბიამანში აურიოთ და ისე ასხუროთ ხეებს.

ეს წამალი ასე უნდა შეაზავოთ.
 წევადი. 16 გირვ.
 შებიამანი 6 გირ.
 წევად დაუსხმევი კირი. . . 4 გირ.

როდესაც ამ წამალს შეაზავებთ, შემდეგ მიუმატეთ 12 მისხალი შვეიცავურტის საწამლავი, აურიეთ და ასხურეთ. საჭიროა აგრეთვე შემოდგომბით მიწის ზემოთ ხის ძირებს და ტოტებს წყალში გახსნილი კირი წაუსვათ.

კუნელას ჭია (Бояришница). ამ სახელს იმისთვის უწოდებენ, რომ მისი საყვარელი საჭმელი კუნელის ფოთოლია, თუმცა ვაშლისა და მსხლის ხეებს არა ნაკლებ აზარალებს შუა. გაზაფხულზედ, ასე პრილის ნახევრი-

დან, დედალი პეპელა 60—100 კვერ-
 ცხსა სდებს განსაკუთრებით ფოთლე-
 ბზედ. კვერცხებს ბაცი მოყვითალო
 ფერი აქვთ. ორი კვირის შემდეგ კვე-
 რცხებიდან იჩეკებიან პატარა მატლები,
 რომლებიც თავიანთ ძაფებით ჰკუმშა-
 ვენ რამოჟენიმე ფოთლოს და შიგნი-
 დან შეექცევიან ამ ფოთლის ნარჩ კანს.
 რადგანაც პირველ წელიწადს მეტად
 პატარები არიან და ჭამაც ასე რიგათ
 არ შეუძლიანთ, ამისათვის ზარალიც
 შესამჩნევი არ მოაქვთ. მეორე გა
 ზაფხულზედ-კი, როდესაც ცოტათი
 მოლონიერდებიან, ხარბათ იწყებენ
 ფოთლებისა და ყვავილების ჭამას.
 ხშირათ მთელ ხეს უფოთლოდ სტო-

ვებენ, მეტადრე თუ ამ ჭიებს გოლ-
 ვიანი გაზაფხული დაუდგათ. მოზრდილ
 მატლს ერთ ვერშოკამდის სიგრძე აქვს,
 მუცელზედ და გვერდებზედ ნაცრის
 ფერისაა, ზურგი და თავიც შავი ფერი-
 საა აქვს. ზურგზედ ორი მოყვითალო
 ზოლი ჩასდევს, რვა წყვილი ფეხი. თე-
 თრი ბუსუსითაა აქვს შემოსილი. ყვე-
 ლაზედ უკეთესი წამალი ამ მატლის
 წინააღმდეგ შვეინფურტის საწამლავია.
 გარდა ამისა თუ ხეხილის ბალის ახლო-
 მახლო კუნელი ან მწოროს ხე (რჯბი-
 ჩა) დგა, უნდა ძირიანათ ამოაგდოთ,
 რადგანც ამ უკანასკნელებზედ ხშირათ
 იციან მათ გამრავლება.

8. ნახუცრიშვილი

გუნეგრივი სასუქი ხეზილებისათვის

შინაური საფოლეის ნებვი

გომიდან გამოტანილი საქონლის ნე-
 ვი საუკეთესო სასუქია ყველა მცენა-
 რეთათვის. ამ ნეხვში ყველა ის ნოყიე-
 რი ნივთიერებანი არიან, რაც ხეხილს
 ეჭირვება და მასთან ისეთ მდგომარე-
 ობაში, რომ მცენარე ძლიერ ადვი-
 ლად ითვისებს მათ. მოხვდება თუ არა
 ნეხვი ნიადაგს, მაშინვე იწყობს ქიმი-
 ურად დაშლას და ეს დანაშალი მცე-
 ნარის ფერვებს საზრდოდ უხდება. არც
 ერთი ხელოვნური სასუქი არ მოქმე-
 დობს ისე კეთილად ნიადაგის ფაზი-
 კურ თვისებებზე როგორადაც ნე-
 ხვი. ხოლო ეს ნოყიერი ნივთიერე-
 ბანი ნეხვში ცოტანი არიან ზომით
 და ხშირად შეუძლებელია იმდენი სა-
 სუქი შევიტანოთ ბალში, რომ ყველა
 ხეხილებს საკმარისი საზრდო მიეცეთ.

თითო კვ. მეტრ ნიადაგს უნდა და-
 ეყაროს დახლოებით 5 გირ. ნეხვი,
 რომ ნიადაგს 5 გრანი ფოსტორის სიმ-
 უვე მიეცეს.

8 გირ. ნეხვი უნდა, რომ 15—20
 გრანი კალი და აზოტი შემატოს ნია-
 დგას.

ამ ანგარიშით ერთ დესეტინას 2,500
 ფუთი ნეხვი დასჭირდება დასაყრელად!
 ცხადია რომ ამოდენა ნეხვის დაყრა
 ძრიელ ძნელია და იძულებული ვხდე-
 ბით ხელოვნური სასუქი ვიმართ.

კიმიური შედგენილობა რომ გაუ-
 შინჯოთ ნეხვს, ვნახამთ: ნეხვის მა-
 გარ ნაწილში შედიან: აზოტი და ფოს-
 ფორის სიმებვე, სითხელეში, (ნეშობ-
 ბალში) აზოტი და კალი.

ამასთანავე უნდა ვსთვავთ, რომ სხვა-
 დასხვა ცხოველების ნეხვის ქიმიური
 შედგენილობა სხვადასხვა ნაირია. ამ
 შედგენილობაზე მოქმედობს ცხოვე-
 ლის წლოვანობა, საჭმელი, რომლი-
 თაც იკვებება ცხოველი, რა ეგო ქვეშ,
 საცა იწვა ან იდგა (გომში), როგორ
 და სად ინახებოდა ნეხვი, რამდენად
 ძველია ეგი და სხვა.

სხვადასხვა ცხოველების ნეხვის შე-
 დგენილობა დაახლოებით ასეთია:



წყალი.	აზო. ტი.	კა. ლი.	კირ. სიმ.	ფოს.
ცხენის ნეხვში 713	5,8	5,3	2,1	2,8
ძროხისაში 775	3,4	4,0	3,1	1,6
ცხვრისაში 646	8,3	6,7	3,3	2,3
ღრარისაში 724	4,5	6,0	0,8	1,9

1.—**ცხენის ნეხვს უფრო მაღე გაარანს ხოლმე ჰაერი და ამიტომ მაღეც იშლება.** შექუჩებული მაღე ჩახურდება ხოლმე, რის გამოც მაღე კარგავს თავის აზოტს. სახმარებლად კარგია მაგარი და გრილი ნიადაგისათვის: ნიადაგი სუბტენდება და ფიცენდება.

როცა სასუქი ისეთ ნიადაგისათვის გვინდა, რომელიც ორც ძლიერ გამაგრებულია და ორც ძლიერ ფხვიერი, ცხენის ნეხვს ძროხის ნეხვი უნდა გადაურიოთ.

ცხენის ნეხვი მუშაობს ნიადაგში ორ ჭლამდე.

ახალს, ჯერ ისევ დაუწველ, ნეხვს ცხენისას ხეხილებისთვის სასუქად არა ხმარობენ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ რაკი მაღე იშლება, აზოტსაც მაღე დაჲკარგავს და ნიადაგი კიდე შეიძლება ისე გააფიცხოს, რომ მცენარეს ნაზი ფესვები დაწვას და ამგვარად რგების მაგივრად ავნოს.

ბოსტანში კი, პირიქით, ეს სასუქი, როდესაც ახალია და სიფიცხე დიდი აქვს, აუცილებელ საჭიროებას შეადგენს.

2.—**ძროხის ნეხვი, „გრილი“ სასუქი,** წინააღმდეგ ცხენის „მხურვალი“ სასუქისა, იშლება მძიმედ და კარგი სახმარებლად სუბტე, ფხვიერი ნიადაგისათვის. გრილ ნიადაგისათვის კი უნდა ძროხის ნეხვს ბზე-ნამჯადა-უფინოთ ქვეშ, და ხმარების ღრარს ცოტა

ცხენის ნეხვი გადურიოთ. რაც უფრო კი კარგად იქნება ნეხვი დამწვარი, დაშლილი იმდენად გრილი ნიადაგისათვის უკეთესია.

ძროხის ნეხვი მაგარს, გრილ ნიადაგში მუშაობს 4—5 წელიწადი და ფხვიერს, სუბტე ნიადაგში—2—3 წელიწადი.

3.—**ცხვრის ნეხვი** სხვა სასუქებზე უფრო ნოკიერია, მეტადრე აზოტია მასში ბლობად, ხოლო ცხენის ნეხვივით მაღე იშლება, მაღე კარგავს აზოტს და ამიტომ დიდი სიფრთხილით უნდა ინახებოდეს. ცხვრის ნეხვი, თუ კარგიდა არის შენახული, სხვა სასუქებთან შედარებით ნაკლები უნდება. სახმარებლად ეს სასუქი კარგია უფრო მაგარი, გრილი ნიადაგისათვის.

4.—**ღორის ნეხვი** ქიმიური შედეგებით ძლიერ განსხვავდება, რაც საჭმელის სხვადასხვაობით აიხსნება. როცა საჭმელში ბერი წყალი ურევი—კართოფილი, ჭარხალი და სხვა,—სასუქი დაბალი ღირსებისა გამოდის და როცა ნაკლები—რკო, ხორბალი და სხვა,—სასუქი უკეთესია. ფხვიერ ნიადაგისათვის სასუქად ღორის ნეხვი ძროხისას არ ჩამოურჩება.

საზოგადოდ უნდა ვსთვეოთ რომ „ახალი“ სასუქი ძლიერ მაღე იშლება და „დამწვარ“ სასუქად გარდაიქცევა. ამ როტულ ქიმიურ ცვლილების ღროს სასუქი ბლობად კარგავს ზოგიერთ შემაღებელ ჩივთიერებებს—უფრო წყალს და ნახშირმჟავეს. ორგანიული ნივთიერებანი სასუქს მაგრე რიგად ბევრი არ ეკარგება, სასუქი არ იფიტება, თუ ბლობად იყო ერთად აქუჩებული.

მაგალითად ბ. გოლდეფლეისის გამოანგარიშებით სასუქმა, რომელიც სა-

ფარში იყო და ბლომად იყო აქუჩებული, ხომა თიბათვილები 6 იანვრიმდე დაკარგა თავისი მაგარი ნივთიერებიდან მხოლოდ 31,2%.

ბ. გეიდენის გამოანგარიშებით ესევე შენახულმა სასუქმა 12 დეკემბრიდამ 9 აპრილიმდე დაკარგა — 26,2% და 29 თიბათვილამ 24 ოკტომბრამდე — 35,9%. საზოგადოდ, როცა სასუქი იშლება, მისი ძვირფასი შემადგენლი ნაწილი — აზოტი ბევრი არ იყარება.

გოლდეფლეისის გამოანგარიშებით ნებვი მხოლოდ 23% აზოტს კარგავს. თუ წესიერად შევინახეთ, და დრო გამოშვებით ზედ ნეშომპალი დავასხით, დაკარგული აზოტი 13% ზე მეტს არ შეადგენს მთელი იმ აზოტისას, რაც სასუქმი იყო. ძველი, კარგად დამწვარი სასუქი აზოტით უფრო მდიდარია, ისე რომ, რაც უფრო სასუქი ბევრ ხანს შეინახება, იმდენად, მართალია, ცოტავდება, მაგრამ სამაგიეროდ ღირსებით უკეთესდება. უკეთესობაში შედის სასუქი, რასაკვირველია, კარგად შენახული, ე. ი. როდესაც ბლომათ არის ერთათ აქუჩებული და კარგად არის გაძეკილი, რომ ჰაერმა არ შეატანოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ღირსება დაკლდება სასუქს და კი არ მოემატება.

როგორი ნებვი უნდა ვიხმაროთ სასუქად, ძველი თუ ახალი — ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა მიზანს გვინდა მივახწიოთ: გვინდა რომ სასუქმა მძიმედ იმუშაოს ნიაღაში და დიდ ხანს გაყვეს, თუ მალე და ღონიერი

ზედმოქმედება გვინდა რომ იქნიოს.

ხოლო ყოველ შემთხვევაში — ძველს ვიხმაროთ სასუქს, თუ ახალს, სულ ერთია, უნდა ვეცადნეთ რომ სასუქს ყველა შემადგენელი ნივთიერებანი შეენახოს და რაც შეიძლება ნაკლებად დაეკარგოს. ამისათვის უწინარეს ყოვლისა, სასუქს უნდა კარგად გაძეკილი თიხა მიწის პოლი მაინც გაუკეთოთ, რომ წვენი, ნეშომპალი არ გავიდეს მიწაში. გარდა ამისა ნეხვი უნდა ჰაერის ზედმოქმედებისაგან იყოს დაცული, რომ მალე არ გამოიფიტოს. ამისათვის დიდ გროვად უნდა აქუჩდეს, კარგად გაიძეკოს და ზედ დროგამოშვებით ნეშომპალი დაესხას ხოლმე, რომ ზედმოდამ სინესტე არ გამოელიოს.

ხელოვნური სასუქის შესადგენად ნებვში ჩაყრიან ხოლმე სუჟერფლოსფატს, გიპსს, კაინიტს და სხვა.. ამ ნივთიერებების მიმატებით ნეხვი ისე მაღლებრივ იშლება ქიმიურად და შემადგენელი ნივთიერებანი, მეტადრე აზოტი, დიდხანს ენახება.

ხელოვნურ სასუქებს მოაყრიან ნეხვს ან გომშივე ან და როცა ბალში გამოიტანენ. ხელოვნური სასუქი უნდა ზედმოდამ მოყაროს ნეხვის გორაკებს.

მიწა რომ მოვაყაროთ ამ ნეხვის გორაკებს კარგია, აზოტი დიდხანს შეენახება ნეხვს, რადგან ნიშალური, რომელიც ნეხვის დაშლაში წარმოსდგება, მიწას გაუჯდება ხოლმე და სასუქის გროვაში რჩება.

3. შ—ელი

(გავრძელება იქნება)

„მოსავლის“ მიღრი ნომერში დაშეგებულ შეცდომის გასწორება

პურისა და სიმინდის სენი ჩემს წერილში აწერილი შეცდომით არის დარქმეული „ღვარძლი“.

ხსენებულ სოკოს მცენარისას ქართლში ეტყვიან, „ხთა“, ზოგან პირდაპირ „ხოკო“, ზოგან — „ნახშირი“



(ფრანგულათაც charbon--ნაზირი ქვი-ან ამ სენს, რადგან შავია ნაშირივით).

„ღვარძლა“ კი ოვით მცენარეა, რომელსაც თესლი მოგრძო შვრიას მშიერი თესლის მზგავსი, ხან კადე ქერის სავსე

მარცვლის მზგავსი აქვს, არაფერი სუნი არა აქვს რა, ხოლო მავნებელია აღა-მიანისათვის. ხოს ისე ეწამლება, როგორც წერილშია მოყვანილი.

3. გულბათიშვილი

საყურადღებო ცნობები

გარდის მურაბის მომზადება. თუ გინ-დათ კარგი მურაბა გააკეთოთ ვარჯისა, ერთ გირვანქა ვარდზე $4\frac{1}{2}$ გირვანქა შაქარი (და არა „პესოკი“) აიღოთ. აქედან $\frac{1}{2}$ გირ. შაქარი დანაყეთ, დააყარეთ ვარდის ფურცლებს, და-წურეთ ზედ ორი ლიმონი და ვარდი კარვად გამოწურეთ. წვენი ცალკე შეინახეთ. შემდეგ აიღოთ თორმეტი სტაქანი წყალი, ჩაყარეთ დანარჩენი 4 გირვანქა შაქარი და წამოადუ-ლეთ. მეტე ჩაყარეთ შიგ ვარდი და ადულეთ. დაასხით შემდეგ შენახული წვენი და იდუ-ლოს, მანამ ვარდი მოიხარშება. (პირში ვარდს ღრაჭაორუჭი არ უნდა გაქონდეს თუ შოხარ-შულია).

სამურაბეთ ახლად გაშლილი ვარდი უნდა აიღოთ და ვარდის ფურცლებს თეთრი ძირები მაკრატლით წააჭრათ, დაბერტყოთ, რომ თე-სლი არ შექმნეს, თორემ გამჭარდება.

მურაბა უნდა ქართულ ვიწრო პირიან და-ხურულ ქვაბში მოიხარშოს, რომ ხარშვაში ბუღი შიგ დატრალდეს და სურნელოვანება ვარდისა არ დაეკარგოს.

ულიმონოთაც შეიძლება მოხარშვა.

რწყილის წამალი ძალლებისათვის. ძალ-ლები რომ არ შეწუხდენ რწყილებისაგან ზაფ-ხულში, ქვეშ ნაბჯა უნდა დაუგოთ და ნამა-ჯის ქვეშ ნაცარი მოუყაროთ.

გამოფენა და მეურნეობა საეზდი ქ. ქუ-თაისში მომავალ შემოდგომაზე გაიმართება

საგუბერნიო სამეურნეო გამოფენა და მოწვე-ულ იქმნება გუბერნიის მეურნეთა სიეზდი განსახილველად კითხვების: 1) — რომელნიც შეეხებიან ხვნა-თესვას, 2) — მევენახეობას და მელვინეობას, 3 — ხეზილის გაშენებას და ბო-სტრეულობას, 4) — მებალეობას, 5) — თე-ლე-ულობას, 6) — მეძრახეობას და რძით სარ-გებლობას, 7) — მეფუტკრეობას და მებარე-შუმეობას, 8) — ტყეს, 9) — სამეურნეო იარა-ლებსა და მაშინებს, 10) — მეოვეშეობას, 11) — შინაურ ხელოვნებასა და ხელოსნიობას, 12) — მაღნეულობას, 13) — სპეციალურ სწავ-ლის შეძენა-ვავრცელებას, 14) — სამეცნიერო და სასტატისტიკო დაწესებულებებთა დაარსებას.

შემოდგომის სიეზდი მეურნეებისა. იმ სამ სეკციის, რომლებათაც იყო მეურნეთა სი-ეზდის მომწესრიგებელი ბიურო დაყოფილი, მიემატა მეოთხეც — სეკცია, რომელიც იზრუ-ნავს იმ კითხვების შესწავლა-გამოყვლევას, რომელიც ძრობის მოშენება-გამოყენებას და რძის მოხმარება-სარგებლობას შეეხებიან. ამ სეკციის თავმჯდომარეთ ითვლება ა. ა. კა-ლანტრარი, წევრებარი — გ. გ. შადინოვი, გ. გ. ალიბეგოვი და ი. ბ. მელიქ-ქაბარამიანცი, მდი-ვნად — ა. ზ. თამამშვირი.

როგორც ამ სეკციის, აგრედვე ყველა სხვა სეკციებისგნით შემუშავებულ კითხვებს სიეზ-დზე გასარჩევს შემდეგ დავტეჭდავთ.

გ ა ნ ც ხ ა დ ე გ ა ნ ი

რედაქცია მზათ არის აღმოუჩინოს „მო-სავლის“ მკითხ. ყოველ გვარი შუამ-ავლობა სამეურნეო იარალებისა და მა-

ზინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოებების შეძენა-გასაღებაში.

რედაქ.-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე